მიკრობანკი
ქრისტალი

კონფიდენციალური
XX-XX-XXXX

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
შემნახველი ანაბრის ხელშეკრულება #XXXXXXXXX

ანაბრის საპროცენტო განაკვეთი

- ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ცვლადი
- ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი: XX%
- ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: XX%

ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლისას გამოყენებული დაშვებები: ანაბარი განთავსებულია 1 წლის ვადით, ყოველი დღის ბოლოს საანაბრე ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენს 1000 ერთეულს და საპროცენტო სარგებელი ანგარიშზე ირიცხება თვეში ერთხელ – თვის ბოლო რიცხვში.
ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი საპროცენტო განაკვეთი მუდმივია და უტოლდება ანაბრის საწყის საპროცენტო განაკვეთს.

ფინანსური ხარჯები

არ გააჩნია

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- ანაბრის (დეპოზიტის) პირველადი შენატანი: XXX
- ანაბრის ვადა: უვადო
- ანაბრის ვალუტა: XX
- მომხმარებელს აქვს ხელშეკრულების ნებისმიერ დროს შეწყვეტის უფლება, რაც არ ითვალისწინებს დამატებით საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს.

ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, მეანაბრე წერილობით ატყობინებს აღნიშნულის თაობაზე მიკრობანკს (მის ნებისმიერ ფილიალში).

„თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში“.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხოლო ისეთი ცვლილების განხორციელებისას, რაც არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების

ცვლილებას, მომხმარებლის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება მეანაბრის სასარგებლოდ.

■ მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია მიკრობანკის შესაბამისობის განყოფილებაში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

[უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

▪ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს

▪ ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = XX%][1]

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა –www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

“მიკრობანკი“ **„მეანაბრე”**

წარმომადგენელი: _____ _____

/ ხელმოწერა /

[1] ანაბრის უცხოურ ვალუტაში განთავსების შემთხვევაში

მიკრობანკი
კრისტალი

კონფიდენციალური
XX-XX-XXXX

შემნახველი ანაბრის ხელშეკრულება #XXXXXXXXXX

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 **მიკრობანკი** - სს ,,მიკრობანკი კრისტალი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 212896570; იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა #22; ფაქტობრივი მისამართი: XXXXX

1.2 **მეანაბრე** - XXX XXXX, იურიდიული მისამართი: XXX ფაქტობრივი მისამართი: XXX, პირადი ნომერი: XXXXXXXXXXX, დაბადების თარიღი: XX-XX-XXXX, მობილური ტელეფონის ნომერი: XXX XX XX XX,

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეანაბრე განათავსებს თანხას (შემდგომში ,,ანაბარი") მიკრობანკში გახსნილ საანაბრე ანგარიშზე (მოცემულია ხელშეკრულების 3.5 პუნქტში), ხოლო მიკრობანკი, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, დაარიცხავს მას სარგებელს.

2.2. საანაბრე ანგარიშზე თანხის განთავსებით მიკრობანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით დადენილი წესითა და პირობებით დააბრუნოს იგი იმავე ვალუტაში.

3. შემნახველი ანაბრის პირობები

3.1 ანაბრის მნიშვნელოვან პირობებთან (თავსართი), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, ერთად ასევე განისაზღვრება შემდეგი პირობები:

3.1 ანაბრის ტიპი	მოთხოვნამდე ანაბარი (,,შემნახველი ანაბარი")
3.2 ანაბრის მაქსიმალური მოცულობა	განისაზღვრება ხელშეკრულების 3.8 პუნქტში მოცემული პირობის შესაბამისად
3.3 საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი	სარგებელი ერიცხება ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაბრე ანგარიშზე არსებულ ნაშთს. საოპერაციო დღის დასრულების დრო განისაზღვრება მიკრობანკის მიერ
3.4 საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა	ყოველთვიურად, ანაბრის გახსნის დღის შესაბამის რიცხვში. იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო სარგებლის გაცემის თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს. არასამუშაო დღეებში იგულისხმება შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები.
3.5 საანაბრე ანგარიშის ნომერი	XX
3.6 ანგარიში, საიდანაც გადაირიცხება ანაბრის პირველადი შენატანი	XX
3.7 ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება საპროცენტო სარგებელი	XXX
3.8 ანაბარზე თანხის დამატების შესაძლებლობა	შესაძლებელია შემდეგი პირობების დაცვით: მიკრობანკში მეანაბრის სახელზე განთავსებული

	ვადიანი ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტ(ებ)ის თანხების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ზღვრულ თანხას, რაც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის შეადგენს 50 000 ლარს ან მისი ეკვივალენტი ანაბრის ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში ანაბრის განთავსების შემთხვევაში).
3.9 ანაბრიდან თანხის გატანის შესაძლებლობა	შეუზღუდავი
3.10 შემნახველი ანაბრის გახსნისთვის დადგენილი მინიმალური თანხის ოდენობა	XXX
3.11 საპროცენტო განაკვეთის ცვლილების წესი	მიკრობანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს) ანაბრის საპროცენტო განაკვეთი თუ: ა) მნიშვნელოვნად შეიცვლება ბაზარზე არსებული პირობები; ან ბ) ანაბრის მოქმედი პირობების შენარჩუნება შესაძლოა მიკრობანკისთვის ფინანსურად საზიანო აღმოჩნდეს ან/და საფრთხე შეუქმნას მის ფინანსურ სტაბილურობას, ან გ) როდესაც აღნიშნული პირობები აღარ შეესაბამება მიკრობანკის მიმდინარე პოლიტიკას, ან დ) განხორციელდება ისეთი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება ან დადგება ისეთი გარემოება, რომელიც აუარესებს ან შესაძლოა გააუარესოს მიკრობანკის მდგომარეობა. მიკრობანკი ვალდებულია, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ მეანაბრეს აცნობოს ცვლილების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეცვლილი საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება მისი ძალაში შესვლის თარიღიდან და არ ვრცელდება აღნიშნულ თარიღამდე დარიცხულ საპროცენტო სარგებელზე.

4. საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პირობები

4.1 ანაბარზე საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება ხდება ანაბრით სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით.

4.2 ანაბარზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება ანაბრის პირველადი შენატანის საანაბრე ანგარიშზე განთავსების დღის მომდევნო დღიდან და გრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

4.3 საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხორციელდება იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც გახსნილია შემნახველი ანაბარი.

4.4 საპროცენტო სარგებელი ერიცხება ანაბრის მოცულობის თანხას, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გამოკლებით.

5. მხარეთა დამატებითი უფლება-მოვალეობები

5.1 მხარეები ადასტურებენ, რომ მათი საქმიანობით არ აყენებენ ნეგატიურ გავლენას ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოს.

5.2 მეანაბრე თანახმაა და იღებს ვალდებულებას, რომ:

5.2.1 მის რეკვიზიტებში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი გამოყენებულ იქნას მიკრობანკის მიერ მასთან დასაკავშირებლად ან/და ტექსტური ინფორმაციის მისაწოდებლად.

გაგზავნილი შეტყობინება მეანაბრისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.
5.2.2 მეანაბრე მობილური ნომრის ცვლილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს მიკრობანკს ახალ ნომერს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიკრობანკი უფლებას იტოვებს აღნიშნული ნომრის სხვა მომხმარებელზე დუბლირებისას, ამ მომხმარებელთან ნომრის ვერიფიცირების შემდეგ, ამოშალოს მეანაბრის მონაცემებიდან დუბლირებული ტელეფონის ნომერი.
5.2.3 დუბლირებისას მეანაბრის მონაცემებიდან ტელეფონის ნომრის ამოშლის შემთხვევაში, მიკრობანკი თავისუფლდება მეანაბრისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობისაგან.
5.2.4 უზრუნველყოფს მიკრობანკის დაუყოვნებელ ინფორმირებას მის პირად მონაცემებში (სახელი, გვარი, მისამართი ან/და მიკრობანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია), ასევე მეანაბრე თუ იურიდიული პირია - დამატებით მის დამფუძნებლებთან/ბენეფიციარ მესაკუთრეებთან/დირექტორებთან/პარტნიორებთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში;
5.3 მეანაბრე ვალდებულია შემნახველი ანაბრის მოქმედების პერიოდში მიკრობანკში იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური მიმდინარე ტიპის ანგარიში.
5.4 მეანაბრე ადასტურებს, რომ მიკრობანკმა გააცნო ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან (შემნახველ ანაბართან) დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც ასევე განთავსებულია მიკრობანკის ვებ-გვერდზე www.crystal.ge.
5.5 მეანაბრე უფლებამოსილია ანაბრის მომსახურე ანგარიში გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის: ანაბარზე შენატანის განხორციელება, ანაბრის თანხის/საპროცენტო სარგებლის ნაღდი სახით გამოტანა/გადატანა კრისტალში გახსნილ მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე. მომსახურე ანგარიში დაიხურება ანაბრის ვადის შეწყვეტისთანავე/ვადის გასვლისთანავე, მას შემდეგ, რაც მეანაბრე უზრუნველყოფს აღნიშნულ ანგარიშზე არსებული თანხის გატანას ან/და გადარიცხვას სხვა ანგარიშზე.
5.6 მეანაბრის მიერ ანაბრის თანხის განკარგვა ხორციელდება ანგარიშზე მოქმედი შეზღუდვების გათვალისწინებით.
5.7 მეანაბრე მიკრობანკს ანიჭებს უფლებას, 3.6 პუნქტში მითითებული ანგარიშიდან ანაბრის პირველადი შენატანის თანხა მიმართოს ხელშეკრულების 3.5 პუნქტში მითითებულ საანაბრე ანგარიშზე, მეანაბრის დამატებითი თანხმობის გარეშე.
5.8 მიკრობანკი უფლებამოსილია:
5.8.1 კანონმდებლობის ან ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მეანაბრის თანხმობის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობისთანავე უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხები მეანაბრის საანაბრე ანგარიშიდან/მომსახურე ანგარიშიდან ან/და დახუროს (შეწყვიტოს) ანაბარი.
5.8.2 მომსახურე ანგარიშზე ანაბრის გახსნის ან/და ანაბრისთვის თანხის დამატების დანიშნულებით შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხა მეანაბრის დამატებითი თანხმობის გარეშე გადარიცხოს მეანაბრის საანაბრე ანგარიშზე;
5.8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დახუროს საანაბრე ანგარიში.
5.9 საანაბრე ანგარიშზე თანხის შეტანის/გადმორიცხვის შედეგად წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაბრის მაქსიმალური ოდენობის გადაჭარბების შემთხვევაში, ანაბრის მაქსიმალურ მოცულობაზე მეტი თანხა საანაბრე ანგარიშზე არ განთავსდება და დაბრუნდება იმ ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდა მისი გადმორიცხვა ან ჩაირიცხება მიკრობანკში მეანაბრის სახელზე გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე.

6. პერსონალური მონაცემები და მათი კონფიდენციალურობა

6.1 მეანაბრისთვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაბრით მომსახურების მიზნით მიკრობანკმა დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები, რაც მიეთითება, მეანაბრის მხრიდან მიკრობანკისთვის წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მომსახურების ფარგლებში საბანკო ანგარიშზე წარმოებული ტრანზაქციების ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად და მეანაბრის მხრიდან მოთხოვნილი მომსახურების ფარგლებში. მათ შორის, მეანაბრისათვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას, რომ მომსახურების სრულყოფილად გაწევის მიზნით მიკრობანკი კანონმდებლობით გათვალისწინებული

ვალდებულებების შესასრულებლად, კლიენტის იდენტიფიცირების, ვერიფიკაციის თუ სქრინინგის მიზნებისთვის, ახორციელებს კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას როგორც უშუალოდ, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი მესამე პირების ჩართულობით.
6.2 მიკრობანკი იღებს ვალდებულებას პერსონალური მონაცემების დამუშავება განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ზედმიწევნით დაცვით და უზრუნველყოს კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი.

7. პრეტენზი(ებ)ის განხილვის პროცედურა

7.1 მეანაბრე უფლებამოსილია მიმართოს მიკრობანკს პრეტენზიით (ნებისმიერი ზეპირი ან წერილობითი განცხადება, რომლითაც მეანაბრე გამოხატავს უკმაყოფილებას, დაუთანხმებლობას). პრეტენზიის ზეპირად დაფიქსირების შემთხვევაში მიკრობანკი მეანაბრეს შესთავაზებს პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტულ წერილობით ან ელექტრონულ ფორმას. პრეტენზიის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით წარდგენისას მიკრობანკი ახდენს მისი მიღების დადასტურებას. მეანაბრეს პრეტენზიის ელექტრონული ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს მიკრობანკის ელექტრონულ მისამართზე - Complaint@crystal.ge, ასევე მიკრობანკის ვებგვერდის (www.crystal.ge) საშუალებით. პრეტენზიის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია მიკრობანკის სატელეფონო ცენტრში, ნომერზე +99532 2022020.
7.2 მეანაბრის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) კალენდარული თვე. პრეტენზიას განიხილავს მიკრობანკის შესაბამისობის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია პრეტენზიების განხილვის ვადების დაცვასა და პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. პრეტენზიის განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება მეანაბრეს პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტური ფორმით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მეანაბრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ნებისმიერ დროს. შეწყვეტა ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მეანაბრე სრულად გაიტანს საანაბრე ანგარიშზე არსებულ თანხას ან მას კრისტალში გახსნილ სხვა ანგარიშზე გადარიცხავს და საანაბრე ანგარიშზე ნაშთი აღარ იარსებებს;
ბ) მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
გ) მიკრობანკის მიერ ცალმხრივად, წინამდებარე ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
8.2 მიკრობანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიკრობანკის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვისა და/ან შემცირების, შესაბამისი საფინანსო პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზების შეწყვეტის, მიკრობანკის საქმიანობის, ბიზნესმოდელის, საოპერაციო ან ტექნოლოგიური პროცესების ცვლილების, მოქმედი კანონმდებლობისა და/ან მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილების, აგრეთვე სხვა ისეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, რომელიც განაპირობებს შესაბამისი საფინანსო პროდუქტის ან მომსახურების შემდგომი შეთავაზების შეწყვეტას.
8.3 გარდა მოქმედი კანონმდებლობით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაუყოვნებლივი შეწყვეტის შემთხვევებისა, მიკრობანკი ვალდებულია მეანაბრეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აცნობოს შეწყვეტის ძალაში შესვლამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, მოკლე ტექსტური შეტყობინებით.
8.4 მიკრობანკის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ანაბარს საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ანაბრით სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მეანაბრის განაცხადს საანაბრე ანგარიშის / მომსახურე ანგარიშის გახსნის/სარგებლობის შესახებ.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;
9.3. მიკრობანკის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად ცვლილებისას მეანაბრის ინფორმირება განხორციელდება ხელშეკრულებით დადგენილი წესით/ვადაში.
9.4. მიკრობანკის საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი, მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
9.6 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
9.7 მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოებში ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოებში.
9.8 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მეანაბრეს. ამ ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება ასევე ქართულ ენაზე.
9.9 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შედგენილი იქნება ქართულ და უცხოურ ენაზე, ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას.
9.10 დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

10. მხარეთა ხელმოწერები

“მიკრობანკი“
წარმომადგენელი:
_____

„მეანაბრე(მომხმარებელი)”/წარმომადგენელი
_____
/ სახელი და გვარი სრულად/